საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-490

22/04/2021

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, შპს „Lion"-ის 9300 $მ^3$ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის, ამავე კოდექსის I დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ქ. თბილისში, შპს „Lion"-ის 9300 $მ^3$ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნა №18 (12.04.2021);
2. შპს „Lion" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №18 (12.04.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „Lion"-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „Lion"-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი